დადგენილება:**დ-37. 3723304001**
თარიღი:**31/10/2023**

დადგენილება N19

2023 წლის 30 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/12/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016482), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **4 845 737,09 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები **404 600** ლარით;

კერძოდ:

დამატებული ღირებულების გადასახადი **(ორგანიზაციული კოდი 114) – 404 600 ლარით;**

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში სხვა შემოსავლები **524 900** ლარით;

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (ორგანიზაციული კოდი 14151) – **409 000** ლარით;

- შემოსავლების პროცენტებიდან **(ორგანიზაციული კოდი 1411) – 115 900 ლარით;**

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანხმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **- 19 418,15** (ცხრამეტიათას ოთხას თვრამეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი;

4. UNDP – ის (გაერო) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში # 00127324 საგრანტო პროექტის სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **-** 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

5. 2023 წლის 7 სექტემბრის #1607 განკარგულებით შევიდა ცვლილება 20 იანვრის საქართველოს მთავრობის #116 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე", რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1 820 000** (ერთიმილიონ რვაას ოცდათასი) ლარი ;

6. 2023 წლის 4 სექტემბრის #1592 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2475 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით **1096268** (ერთიმილიონ ოთხმოცდათექვსმეტიათას ორას სამოცდარვა ლარი) ლარი ;

7. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის #1085 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტს სამგზავრო ავტობუსების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით გამოეყო - **274 800** (ორასსამოცდათოთხმეტიათას რვაასი) ლარი;

8. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის #1640 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ნაგავმზიდი მანქანების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით გამოეყო - **400312** (ოთხასიათას სამას თორმეტი) ლარი;

9. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის #1740 განკარგულებით ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე", დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმრო ხარჯების დაფინანსების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **130 000** (ასოცდაათი ათასი) ლარი ;

10. ასევე დაზუსტდეს ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის #53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვა, კერძოდ: 2023 წლის 23 იანვრის საქართველოს მთავრობის #147 განკარგულებით ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **125438,94** (ასოცდახუთიათას ოთხას ოცდათვრამეტი ლარი და 94 თეთრი) ლარი საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით.

ა) **გაიზარდოს შემოსავლები :** კაპიტალური ტრანსფერები (პროგრამული კოდი 1.3.3.2.1.1.2.) – 125438,94 ლარით;

ბ) **შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები :** საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - 04 02 01– 61.1.1.2.) –

125438,94 ლარით;

- შესაბამისად გაიზარდოს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანხმად გამოყოფილი თანხით საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდაჭერა (ორგანიზაციული კოდი - 04 02 03– 2.2.) – 19418,15 ლარით;

2. UNDP – ის (გაერო) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში # 00127324 საგრანტო პროექტის სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით გამოყოფილი თანხით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი - 07 01 03 – 2.8.2.1.) – 50 000 ლარით;

3. 2023 წლის 7 სექტემბრის #1607 განკარგულებით (ცვლილება 20 იანვრის საქართველოს მთავრობის #116 განკარგულებაში) გამოყოფილი თანხით, სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 61.1.1.11.) – 1 820 000 ლარით;

4. 2023 წლის 4 სექტემბრის #1592 განკარგულებით (ცვლილება საქართველოს მთავრობის #2475 განკარგულებაში) გამოყოფილი თანხით, გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 61.1.1.5.) – 1 007 170 ლარით;

5. 2023 წლის 4 სექტემბრის #1592 განკარგულებით (ცვლილება საქართველოს მთავრობის #2475 განკარგულებაში) გამოყოფილი თანხით, წყალსადენის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები (ორგანიზაციული კოდი - 02 02 01– 61.1.1.11.) – 89 098 ლარით;

6. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის #1085 განკარგულებით გამოყოფილი თანხით, საგზაო მოძრაობის ორგანიზება, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 01 03– 61.1.1.11.) – 274 800 ლარით;

7. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის #1640 განკარგულებით გამოყოფილი თანხით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 01 01 02– 61.1.1.11.) – 400 312 ლარით;

8. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის #1740 განკარგულებით გამოყოფილი თანხით, სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, სხვა ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 2.8.2.1.18) – 130 000 ლარით;

9. საკუთარი შემოსავლებიდან შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 04 02– 61.1.2.11.) – 100 000 ლარით;

10. საკუთარი შემოსავლებიდან გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 02 07 03– 2.5.) – 20 000 ლარით;

11. საკუთარი შემოსავლებიდან მუნიციპალური ტრანსპორტი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 02 08– 2.5.) – 11 000 ლარით;

12. საკუთარი შემოსავლებიდან ნარჩენების გატანა, სუბსიდია (ორგანიზაციული

კოდი - 03 01 02– 2.5.) – 57 000 ლარით;

13. საკუთარი შემოსავლებიდან ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 01 03– 2.5.) – 253 000 ლარით;

14. საკუთარი შემოსავლებიდან სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - 04 01 02– 61.1.1.2.) – 50 000 ლარით;

15. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობასუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 01 02 – 2.5.) – 30 000 ლარით;

16. სპორტული კლუბების ხელშეწყობა, შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 01 03 – 2.5.) – 20 000 ლარით;

17. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტული კლუბების ხელშეწყობა, ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 01 03 – 2.5.) – 320 000 ლარით;

18. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა , სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 02 01– 2.5.) – 50 000 ლარით;

19. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურის ობიექტების დაფინანსება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 02 04 – 2.5.) – 10 000 ლარით;

20. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურის ობიექტების დაფინანსება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 02 04 – 2.5.) – 8500 ლარით;

- შემცირდეს :

21. ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 04 – 2.7.) – 80 000 ლარით;**

22. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 01 – 2.7.) – 50 000 ლარით;**

23. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 04 – 2.7.) – 80 000 ლარით;**

24. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 11 – 2.7.) – 45 000 ლარით;**

25. გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები **(ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 61.1.1.5.) – 1 024 400**

ლარით

- შესაბამისად გაიზარდოს:

26. ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (**ორგანიზაციული კოდი - 06 02 07 – 2.7.) – 60 000 ლარით;**

27. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება **(ორგანიზაციული კოდი - 06 02 08 – 2.8.2.1.) – 195 000 ლარით;**

28. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, არაფინანსური აქტივების ზრდა **(ორგანიზაციული კოდი - 01 01 02– 61.1.1.11.) – 200 000 ლარით;**

29. საგზაო მოძრაობის ორგანიზება, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები **(ორგანიზაციული კოდი - 02 01 03– 61.1.1.11.) – 824 400 ლარით.**

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი